



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 22

2011 წლის 25 თებერვალი
ქალაქი ხაშური

მოქალაქე მანანა ქიტიაშვილის განცხადების განხილვა ქ. ხაშურში რუსთაველის ქუჩაზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მისამართის დადგენის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ქ. ხაშურში სანაპიროს ქ #81-ში მცხოვრები მოქალაქე მანანა ქიტიაშვილის განცხადება, რუსთაველის ქუჩაზე მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მისამართის დადგენის შესახებ.. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის და საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნის შესაბამისად:

1. ქ. ხაშურში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მ. ქიტიაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მისამართი დადგენილი იქნას „ქ. ხაშური რუსთაველის ქუჩა №19“
2. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ.ხაშური, ტაბიძის ქ.N2), ხოლო შემდგომ რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ.N15) ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

 დავით ლომიძე

